ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ალექსანდრე ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის

ოქმი №8

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

თბილისი 22.12.2022 წ.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u> ე.გამყრელიძე (თავმჯდომარე), მ.კაკაბაძე, დ.შენგელია, ვ.გვახარია, თ.წუწუნავა, ფ.მაისაძე, გ. ჭიჭინაძე, გ. ბერიძე (საბჭოს მდივანი).

<u>დღის წესრიგი:</u> თსუ-ს ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესის დადგენა და კონკურსის გამოცხადება.

<u>მოისმინეს:</u> სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამეცნიერო საბჭოს 7 (10-დან) წევრი ესწრება სხდომას და სხდომა უფლებამოსილია გადაწყვიტოს დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი. მან დამსწრეთ გააცნო ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად უნივერსიტეტის წესდებით და ინსტიტუტის დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმები. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა ემსჯელათ დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესის შესახებ და დაედგინათ კონკურსის გამოცხადებისთვის გონივრული ვადები.

<u>კითხვები დასვეს:</u> დ.შენგელიამ, ფ.მაისაძემ, ვ. გვახარიამ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ.შენგელიამ, გ. ჭიჭინაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

<u>გაიმართა კენჭისყრა:</u> აღნიშნული საკითხი ერთხმად იქნა მიღებული.

<u>სხდომამ დაადგინა:</u> დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი (დანართი 1) და კონკურსის გამოცხადების და საბუთების მიღების თარიღები (დანართი 2). კერძოდ, კონკურსი გამოცხადდეს ა.წ. 27 დეკემბერს, საბუთების მიღება წარმოებდეს 2023 წლის 16-20 იანვარს, ხოლო კონკურსის შედეგი თსუ-ს მიეწოდოს არა უგვიანეს 27 იანვრისა. საბუთების წარდგენა მოხდება ინსტიტუტის შენობაში, პოლიტკოვსკაიას ქ. №31, ოთახი #101, 11 საათიდან 16 საათამდე.

სხდომის თავმჯდომარე /ე. გამყრელიძე/

მდივანი: /გ.ბერიძე/